

V E R S O P O
L I S T W O
L E D B U R Y
T W E N T Y T W E N T Y

Schizo Poems
შიზოგადობა

Paata Shamugia (პაატა შამუგია)

Translated by Manana Matiashvili,
Kristian Carlsson and Inga Zhghenti

F L E M I S
H G E O R
G I A N I C E
L A N D I C I
T A L I A N

Published by
Ledbury Poetry Festival
The Master's House, Bye Street, Ledbury
Herefordshire HR8 1EA
UK

www.poetry-festival.co.uk

Copyright © Paata Shamugia 2020

Designed & typeset in Arno and Sylfaen
at Five Seasons Press, Hereford
www.fiveseasonspress.com

and to be printed on Five Seasons book-quality recycled paper
by Impact Print & Design, Herefordshire

VERSOPOLIS
is a unique, Europe-wide platform.
It gives emerging European poets
the chance to reach an audience beyond
the boundaries of the language they write in
by translating and publishing their poems
and inviting them to perform at festivals.



With the support of the
Creative Europe Programme
of the European Union

VERSOPOLIS TWO

Schizo Poems

შიზოგადობა

Paata Shamugia / პაატა შამუგია

Translated from the Georgian by Manana Matiashvili,
Kristian Carlsson and Inga Zhghenti

Versopolis at Ledbury Poetry Festival

2020

PAATA SHAMUGIA was born in 1983 in Abkhazia, the northern part of Georgia now occupied by Russia, and graduated from the philological faculty at Tbilisi State University. Since 2018 he has been a president of The Georgian Pen Centre.

One of the most influential and provocative contemporary Georgian poets, his texts, according to Georgian literary scholars, comprise a large amount of self-irony and sometimes ‘weird linguistic performance’ as well. In 2015 he was the first Georgian poet to receive the prestigious SABA literary prize twice.

After publishing his debut collection *Panther’s Skin* in 2006 (in which he countered the so-called Georgian Bible ‘The knight in the panther’s skin’), he gained wide popularity with the Georgian public — along with considerable controversy in the press and on television. Then 2010 saw the publication of *Preference*, commended by critics as his best book.

Members of the Georgian parliament demanded that this book be banned because of its ‘harmful attitude’ and disrespect for tradition. Members of the Radical Orthodox Parents’ Union wrote a letter to the *Asaval-Dasavali* newspaper asking the Georgian Orthodox Church to issue an anathema against the author.

In 2015 Intelekti published Paata Shamugia’s widely-read *Schizo-National Anthems*, for which he was awarded Georgia’s most prestigious literary prize for the second time.

As the literary critic and poet George Lobjanidze has written, ‘Paata Shamugia’s poetry is the most pertinent for today’s reality, because no reader remains indifferent toward his texts. For some people — and mostly for his peers or the younger generations — Paata is an idol. Some strongly believe he’s a Mason, godless, subversive and anti-traditional . . .

‘One can randomly open *Schizo-National Anthems* at any page and find an inspiring quotation — an influential social message, slogan, motto — as a supreme example of intertextuality; an innovative and unusual creation born between poetic and mathematical logic.’ This is strongly endorsed in a review by the poet and literary critic Shota Iatashvili.

Awards

2012. Paata Shamugia won SABA, the most prestigious literary award of Georgia, and his book *Acatiste* was named the best book of the year.

2012. The art magazine *Hot Chocolate* named Paata Shamugia Person of the Year.

2015. Paata Shamugia won the SABA literary prize for the second time and his book *Schizo-National Anthems* was named the best book of the year.

ლიტერატურა და ტექნოლოგიები

კამილო ხოსე სელას არაჩვეულებრივი რომანი მოვიქნიე
და ღამის პეპელა კედელზე მივასრისე -
ლიტერატურა თანდათან პრაქტიკული ხდება.
ტექნოლოგიები,
დიახ, ისინი მუდმივად ცდილობენ
ლიტერატურის ჩაჩოჩებას,
“აიფონი” წიგნზე კარგია ხელში დასაჭერად,
თითქოს მტევნის ფორმებს ნებდება,
მაგრამ კამილო ხოსე სელა, ნუ დავუკარგავთ,
უფრო კარგად კლავს პეპელას.
ოდესღაც ლაშა ნადარეიშვილის
რბილფურცლიანი წიგნებით შევდიოდი საპირფარეოში,
მაგრამ მერე ისეთი ფუმფულა
ტუალეტის ქაღალდები გამოიგონეს
(ღმერთო, დალოცე მაღალი ტექნოლოგიები!),
რომ სრულიად გამოუსადეგარი გახდა ბატონი ლაშას წიგნები.
საწყენია, მესმის, მაგრამ რას გააწყობ -
ტექნოლოგიები მტრობენ ლიტერატურას.
არაფერი დაეწუნება “ბოშის” მაცივარს,
გაცილებით კარგად აციებს,
ვიდრე, მაგალითად, კამილო ხოსე სელა,
მაგრამ “პასკუალე დუარტეს ოჯახით”
პეპლების მთელი ოჯახის გაუვნებელყოფა შეიძლება.
აი, სად არის მისი ძალა -
პრაქტიკაში, დესტრუქციაში... ვინ იფიქრებდა...
ჭირისუფალივით დავყურებ პეპელას,
რომელიც კარგმა ლიტერატურამ იმსხვერპლა
და ვფიქრობ, რომ ჩვენ ახლა
გაცილებით კარგად გვესმის ერთმანეთის.

Literature and Technology

I hurled a great novel by Camilo José Cela
at the night butterfly, smashing it against the wall.

Got it? Step by step literature becomes practical,
while technology tries to somehow take its place:
The iPhone fits the hand better,
seems to have surrendered to the shape of fingers.
Well, let's not behave as ungrateful people,
but Camilo José Cela, we have to confess,
is better at killing butterflies.

Once I used to bring a paperback edition of Lasha Nadareishvili
to the bathroom
but then the super soft toilet paper appeared
(God bless high tech!)
and his books became useless.
That's a pity, but what to do? That's how
technology deals with literature.

I have nothing against my fridge from Bosch —
it freezes better than, say, Camilo José Cela,
but, to be honest, with a book titled *The Family of Pascual Duarte*
you can thoroughly ruin a complete family of butterflies.

Look, this is where its power lies —
in practice, in destruction . . . Who would expect that!?

I'm looking at the butterfly right now, like a speechless mourner.
It seems to have become the sacrifice of great literature.
I think we might be able to understand each other better now —
me and the butterfly.

შეცდომების გასწორება

გული მწყდება, რომ რაღაც შეცდომები,
რომლებიც შემემლო დამეშვა,
არ დავუშვი
და ხელიდან გავუშვი
არაერთი
შესანიშნავი შეცდომის დაშვების შანსი.
გვიანია სინანული,
აზრი დაკარგა ჩრდილთან ბრძოლამ -
ერთ შეცდომაში ორჯერ ვერ შეხვალ,
ვერ მოაწონებ თავს მეორედ,
თავს აღარაფრით ჩაგადენინებს.
არადა, იყო ერთი-ორი კარგი შეცდომა,
განა არ იყო!
მაგრამ ისინი - დახვეწილები, სახიფათოები -
ხელიდან გამექცნენ
და ჩემთვის განკუთვნილ შეცდომებს
ახლა უკვე სხვები სჩადიან.
ხშირად ვოცნებობ მათზე,
ლამლამობით მესიზმრება,
თითქოს ყველაზე დიდ
და ყველაზე მიუტევებელ
შეცდომებს ვუშვებ
და სიხარულისგან მეღვიძება.

Correction of Mistakes

I have special regret for not making the mistakes
I could have made,
But I didn't
And missed
The very opportunity
To make a number of great ones.

And now it's too late to regret,
No use in fighting with the shadows —
You cannot throw yourself into the same mistake twice,
Impossible to parade oneself in front of it —
Never ever will it let you commit it again.

And, throughout my life I have definitely made one or two mistakes,
Indeed, I have!
But they all were delicate, dangerous —
Slipping out of my hand,
And the very mistakes supposed to be mine
Now are being committed by others.

I often dream of them,
Meeting them in my dreams at night
As if I am making the biggest
And most intolerable ones,
And wake up with joy.

ალიბი

დავკითხოთ სიტყვები
ყოველი მათგანის მნიშვნელობა ყალბი ალიბია
რომლის მიღმა სისხლი იმალება
დანაშაულის კუდი მოჩანს აბზაცის ბოლოდან
სისხლითაა მოქსოვილი მისი გარსი
ფარდასავით უნდა გადასწიო გაქვავებული მნიშვნელობები
და აღმოაჩენ სიტყვა „კარადაში“ გადამალულ სიტყვა „გვამს“
სიტყვა “სიყვარულში” ჩაშენებულ სიტყვა “ეჭვს”
სიტყვა “თავისუფლების” უკან მიმაღულ ლაჩარს
წარმოსახვის ფრაგმენტებს ველარ აწებებს ცხელი სინტაქსი
დავკითხოთ სიტყვები
ცრუმოწმეა მათი საზრისი
კვალს გვირევენ
რომ სამუდამოდ ჩავიკარგოთ ფუძეკუმშვადი სიტყვის ნაპრაღში
შეხედე
სიტყვა “პატარა” უფრო დიდია ვიდრე სიტყვა “დიდი”
თვითმფრინავის შავი ყუთი არის ნარინჯისფერი
სიყვარული კი... აბა რა გითხრა...
ოდესღაც მეც ვიცოდი მისი მნიშვნელობა
ახლა კი საიდანაც უნდა გადმოხტე
მაინც ენის ფსკერზე ეცემი.

Alibi

We should interrogate the words,
each signification is a false alibi
covering up the blood,
the tail of crime appears at the end of the paragraph
with a blood-knitted crust.
Just pull the fossilized significations aside like a curtain
and you'll discover the word CORPSE in the word DRESSER,
or the word DOUBT embedded in the word LOVE,
or a coward in hiding behind the word FREEDOM.
The glowing syntax can no longer
agglutinate any fragments of imagination.
We should interrogate the words
meaning to be false witnesses,
covering their tracks so that we
will be eternally lost in the abyss of contractions.
Look:
The word LITTLE is bigger than the word BIG,
the black box is orange,
and LOVE . . . oh, what can I say . . .
I used to know what it meant,
but from whatever I nowadays leap
I plop down on the bottom of language.

მე
ამ
ლექსს
ვერტიკალურად
ვწერ
რათა
ადგილები
დავტოვო
მერცლების
ბუდეებისთვის.

I'm writing
this
poem
vertically
so as to
leave
space
for
swallows'
nests

რატომ ვწერ?

ხშირად ვსვამ ამ კითხვას,
მაგრამ პასუხი არასოდეს მაქვს.
და ყოველთვის, როცა პასუხი არ მაქვს,
ვწერ.
ესე იგი: ვწერ, რადგან პასუხი არ მაქვს -
ეს შეიძლებოდა ყოფილიყო პასუხი ამ კითხვაზე,
დახვეწილი ჰედონისტის ირიბი ქვა
ნასროლი, ერთდროულად, მკითხველის და კითხულის
ეზოში...
მივდივარ ქარში (როგორც მოცარტი)
და ვფიქრობ, რომ მომდევნო ლექსს,
რომელსაც ალბათ რამდენიმე თვეში დავწერ,
დავიწყებ ბუნების აღწერით,
მწვანე ხეივანში ჩვილის ბაჯბაჯის,
კენჭების წკაპუნის გამოხატვით,
მეტი ეფექტურობისთვის,
ძალლსაც შემოვიყვან რომელიმე ტაეპში
(ერთგულების სიმბოლოა
და ზოგადად, დადებით ემოციებს იწვევს).
ეს ლექსი კი იქნება პასუხისთვის განწირული,
ისევე, როგორც ყველა ლექსი,
რომელიც სანდოა, როგორც ნაფიცი მოწმე:
ვფიცავ, რომ ვიტყვი პოეზიას,
მხოლოდ პოეზიას და არაფერს პოეზიის გარდა.
მეკითხებიან: რატომ წერ?
და ამ კითხვასა და ჩემს სხეულს შორის აღმართულ
პუნქტუაციის კუზიან უფსკრულს
შიშით ჩავყურებ.

Why do I write?

I frequently ask this question
But have never been able to answer.
And every time there is no answer,
I do write.

It means I write as I have no answer —
This could have been an answer to this very question,
An indirect stone of a delicate Hedonist
Targeted at the garden of a reader and the read, simultaneously . . .

I stroll along in the wind
Thinking of writing another poem
Probably in a few months,
Which I'll start with description of nature,
Tottering of a toddler along a green alley,
And for more efficiency
I will invite into some of my lines
Pattering of pebbles around
And the dog
(The symbol of loyalty
And generally, evoking positive feelings.)

And this poem will be damned to answer,
As all the other poems,
As trustworthy as the grand witness:

And I swear, I will speak the poetry
The whole poetry, and nothing but the poetry.
And when I am asked: Why do you write?
I look into the hunchbacked gap between my body and the very question
In horrible fear.

ქველმოქმედება

რა შეგვიძლია გავაკეთოთ?
ტოტი, რომელზეც ცდუნებები გვიყვავდა, მოჭრილია,
მეტაფორებსაც ვეღარ მოეჭიდები,
რამე უფრო სანდო გვჭირდება.
ვინ დაგვიცავს სიყვარულისგან?
სიკეთისგან?
დანასავით მოქნეული კეთილგანწყობისგან?
ვინ შეაჩერებს გამოწვდილ ხელს,
როცა მშვენივრად ვიხრჩობით ზღვაში
და საკმაოდ მაცდუნებლად
მობჯენილია შუბლზე ლულა?
ვინ შეუყუდება ეჭვის ბზარებს
მოულოდნელად გაჩენილ სიყვარულს?
რა შეგვიძლია გავაკეთოთ?
როგორ მოვიშინაუროთ ზომიერება – დროის ნიშანი –
მისხალ-მისხალ რომ გვიწონის სათქმელს.
ჩვენი სხეულები გადავსებულია სათნოებით
და არავინ არ ჩანს მშველელი.
რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

Charity

What can we do?
The branch, our temptations used to flourish on,
Is cut off.
Can't any longer cling to the metaphors,
Something more reliable is needed.
Who will protect us from love?
From so frequent kindness?
From the favour
Swung against us like a knife?
Who will stop outstretched hand,
When we are perfectly drowned in the sea?
Or when the arm is quite seductively set against our foreheads?
Who will put jealousy into suddenly emerging love?
What can we do?
How to domesticate moderation — a sign of time —
Weighting our minds thriftily.
Our bodies are overwhelmed by happiness
And no one seems to save us from it.

What can we do?

ფრჩხილი

შევამჩნიე, რომ როგორც კი შელამდება
ფრჩხილები ელვის სისწრაფით მეზრდება,
შუალამისკენ უკვე იმხელაა, რომ
ლოგინიდან წამოწევის გარეშე შემიძლია დავაჭირო
ტელევიზორის პულტს მეორე ოთახში
ანდა მეზობელს თმა ჩამოვქაჩო,
დილისკენ ჩემი ცერა თითი გაშვერილია ზეცისაკენ
და ამომავალ მზეს უხიციანებს.

და მიუხედავად იმისა, რომ აღვირახსნილად ოპტიმისტი ვარ,
იმდენადაც კი,
რომ მჯერა საყოველთაო სამართლიანობის,
პურის გაიაფების და ომის გაიშვიათების,
სანამ გათენდება, მალულად ვიჭრი,
არ მინდა ვინმემ შემამჩნიოს,
და მივდივარ სამსახურში, ისე, ვითომც არაფერი.
ვაკვირდები კოლეგების ფრჩხილებს,
ვცდილობ, აღმოვუჩინო რამე საეჭვო,
მაგრამ არაფერი გამომდის.
ყველა საგულდაგულოდ მალავს ფრჩხილებს.
არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ
ლამით ყველას უსაშველოდ ეზრდება ფრჩხილები,
რომლითაც მერე ვარსკვლავებს უხიციანებენ,
ან ღრუბლებს რევენ,
ანდაც მზეს ეთამშებიან ნეკა თითით.
დილით კი იჭრიან,
რომ არავინ შეამჩნიოს
და რიგდებიან სამსახურებში
ისე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

A Fingernail

At the threshold of night, when twilight creeps abruptly,
I've noticed my fingernails grow rapidly, at the speed of light,
at midnight they're already so long
I can easily reach the remote control
in the next room from my bed
or open the door next door and scratch the back of my neighbour,
towards the morning my thumb is erected to the sky
and touches the rising sun.
My thumb burns and I feel the pain,
as it is known to the world that the sun is red-hot.
In spite of actually being wickedly optimistic
(so optimistic that I believe in common justice,
bread becoming cheaper and the rarefaction of war),
I secretly cut my nails before full sunrise,
I don't want anybody to notice them.
I go to work as if nothing has happened.
I try to find something suspicious
but without success.
Everybody is hiding their hands
as it is known to the world
that our fingernails grow rapidly at night
and hence people can kick stars with them
or stir the clouds,
or play with the sun with a pinkie.
But in the morning all nails are cut
and we go to work,
and nobody notices anything.
As if nothing had happened,
as if no one knew anything about long nails.

საქმიანი პოეტი

მიმოვდივარ ენაში (უვიზოდ),
ვღებ საქმიან კონტრაქტს ზმნებთან და
არსებით სახელებთან,
შორისდებულებს შორის ვღებ ზავს.
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ვაწარმოებ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს
ბინარულ ოპოზიციებთან,
ზმნისწინის უკან ვდგები - თავაზიანი ვარ,
მაგრამ წარსულ დროს ზურგს ვაქცევ - თავხედი!
ფუმეს ვუსინჯავ საკუთარ თავს - მყარად უნდა ვიდგე.
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ვხვეწ ურთიერთობის ფორმებს - ფორმაში ვარ.
ვაწესრიგებ ჩემი სხეულის
ჩამოქცეულ ინფრასტრუქტურას - დავრბივარ.
განტვირთვის მიზნით, პირველსავე შემხვედრ გოგოში
ვღებ ჰორმონების ინვესტიციას - ოჰო!
არაფერი პირადული, მხოლოდ ლექსი.
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ის, ვინც წლობით ცხოვრობდა მზა პასუხების ციხეში,
ყველა ამნისტიით გამოვუშვი.
დროა, ყველას მოგვესაჯოს მშვიდობა!
დროა, ყველას მოგვესაჯოს სიყვარული!
ახია ჩვენზე!
ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმან გატაცებებს!
მე საქმიანი პოეტი ვარ.

ვცდილობ აღმოვფხვრა სეპარატიზმი -
გაუცხოება ენასა და ადამიანს შორის.
ის, ვინც ლაპარაკობს, ყოველთვის ტყუის.
ვინც წერს, მას კი მუდამ ამჟღავნებს
ის, რასაც წერისას ტყუის.
ჩემი ტყუილი საშუალოა,
ჩემი ლექსები - უშუალო.

A Busy Poet

No visa is required from my language,
I obtain business contracts from verbs and nouns,
I use intermissions for interjections,
I'm a busy poet.
I lead diplomatic negotiations with binary oppositions,
I stand after a prefix—like a gentleman,
but I turn a blind eye to the past—impudent!
I check my base—I have to stand strong,
I'm a busy poet.
I practise all forms of interrelations—I'm in shape.
I rebuild the crumbed infrastructure of my body—I run.
For leisure I invest my hormones in the first girl I meet—oops!
Nothing personal, just poetry,
I'm a busy poet.
I set everyone free
from a life in the prison of ready-made answers.
It's time to be sentenced to peace!
It's time to be sentenced to love!
We deserve even worse!
Zero tolerance for petty obsessions!
I'm a busy poet.
I try to eliminate the separatism—
the separation of language (AKA the State)
and human beings (AKA human beings).
The one who speaks is always lying.
The one who writes is always
exposed by the lies he writes.
My lies are ordinary,
my poems extraordinary.
I'm a busy poet.

გმირი

ძალა, რომელიც მკლავებში ცხოვრობს,
დაცალე ქმედებისგან
ბრაზი გამოკიდე ქარების კუდზე,
იყავი დრეკადი სიზმრის მიმართ
და მყიფე და უხერხული _ სინამდვილის წინაშე.
დათესე გვალვა მწიფე ხახაში
და მოიმკე წყალი, ღვინო, კოკა-კოლა,
სულერთია, რამე თხევადი.
ამოგზაურე მუხლისთავები
ლოგინიდან ლოგინში,
გააყალბე სიზმარი,
გახდი გმირი!

Hero

Utilize the power (vibrant in muscles)
to make things happen,
hang your anger on the tail of winds.
Be flexible towards the dream,
be fragile and awkward towards reality.
Sow drought in the throat, already ripen,
and reap the water, the wine, the Coke,
whatever you reach, as long as it's liquid.
Let your knee-caps travel
from bed to bed,
forge the dream,
become a hero!


ტრუისტული საზეპიროებიდან

მეუბნებიან, რომ რადიკალური ავტორი ვარ,
რომ ლექსის კეთილხმოვანებას ვანგრევ.
მე ხელის ელეგანტური მოძრაობით ვუთითებ
თუ სახელდობრ სად უნდა შეიტენონ თავიანთი
კეთილხმოვანი ლექსები.



from Truisms to be Memorized by Heart

I am criticized for being a radical author,
Attacking the musicality of the poem.
And what do I do — with delicate movement of the hand
point out
Where to stick their musical poems.



VERSOPOLIS

where
poetry
lives

LEDBURY
POETRY
FESTIVAL
3-12 JULY
2020